წელიწადი 1913 მესამე

# თემი

ორშაბათი, 14 ოქტომბერი № 145

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ორშაბათი 14 ოქტომბერი № 145

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხ ლის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

1 ივლისიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. „თემი“ წელიწადი მესამე.

ღირს 1 მან. 25 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოადგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს“ და 2) კ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе.

კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 11½ საათზე ქვაშვეთის ტაძარში გარდახდილ იქნება გარდაცვალების მეორმოცე დღეს პანაშვიდი

გრიგოლ სპირიდონის-ძის ჯულელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა, მეგობრებს და ნაცნობებს ძმა მისი სვიმონ სპირიდონის ძე ჯულელი.

კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 11½ საათზე ქვაშვეთის ტაძარში გარდახდილ იქნება გარდაცვალების მეორმოცე დღეს პანაშვიდი

გიგა (მაქსიმე) ჯულელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა, მეგობრებს და ნაცნობებს ძმა მისი სვიმონ სპირიდონისძე ჯულელი.

გაზ. „თემის“ რედაქცია აუწყებს თავის პატივცემულ მკითხველებს, რომ კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 11½ საათზე ქვაშვეთის ტაძარში დანიშნულია პანაშვიდი მისი დაუვიწყარი თანამშრომლის

გრიგოლ ჯულელის (გრ. სვირ-სკანდელი)

სულის მოსახსენებლად.

ანონსი

ქართული თეატრი

ტელეფონი № 795. წარმოდგენა № 10—4

ხუთშაბათს 17 ოქტომბერს 1913 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

და ბეატრისა

მეტერლინკისა.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს 18 ოქტომბერს 1913 წ.

საზანდარი

ჩვეულებრივ

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მაღაზია

ძმ. ა. და ა. მილოვების

სავაჭრო სახლი

მომავალ სეზონისათვის მიღებულია

მრავალი ახალ-ახალი საქონელი

ყოველ დღე პარიზიდან მოდის.

ახალ-ახალი სავაჭრო

„მონოპოლის“-მიერ ნაყიდი

ქ. თბილისისათვის

კლასიკური და ფორმის სავაჭრო

დიდი არჩევანი

სავაჭრო სახლი ძმ. ა. და ა. მილოვებისა.

გოლოვინის პრ., ს. არაქელოვისა. განცხადება № 1

ქალებისათვის
ინგლისური
დემი-პალტოები

ძმ. ალშვანგნი.

ღოქსოვილი ჟაკეტები
შლიაპები, ყელზე მოსახვევი, კაპრეზი, ფიგარო და ბოლერო

ძმ. ალშვანგნი.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 14 ოქტომბერს და ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს

სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

საათიაქო საქონლით

მოვაჭრე

კავკასიის ამხანაგობა

აუწყებს თავის მუშტრებს, რომ 7 ოქტომბრიდან გაიხსნა

მესამე საწვრილმანო მაღაზია

ოლღას ქუჩაზე, მელიქ-აზარიანის სახლში.

„თემის“ რედაქციამ

იკისრა იობა ასაკაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება

აკაკის პოემის „რაჭა-ლეჩხუმის“

✦ მგოსნის ამ მხარეში მოგზაურობის აღწერის გამოცემა ✦

ამიტომ ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც განსვენებულმა დაუგზავნა საკვიტანციო წიგნები, ანგარიში გაგვისწორონ და უეჭველად წარმოგვიდგინონ ტალონები 1 ნოემბრამდის, როდესაც შესწყდება ხელისმოწერაც. ჯერ ჯერობით ჩვენ მივიღეთ ბაქოდან ვასილ კირვალიძისაგან—50 მან. და თბ. სადგურიდან ნოე გოშაძისაგან —50 მან. წიგნი გამოვა ამ წლის დეკემბერში.

## სომხის ერის დიდებული დღესასწაული.

პარასკევს 11 ოქტომბერს სომხებს დაეწყოთ დიდებული კულტურული დღესასწაული, რომელიც დღეს დილით თავდება. მთლად ამ 1913 წელს ეწოდა საიუბილეო წელიწადი, რადგანაც წლეულს შესრულდა სწორედ 1500 წელიწადი, რაც ბერმა მესროფმა შეადგინა სომხური ანბანი და 400 წელიწადი, რაც დაისტამბა პირველი სომხური წიგნი ვენეციაში.

ანბანის გამომგონი ბერი მესროფი უბრალო გლეხკაცის შვილი იყო, თარონის ოლქის სოფელ ჰაჰეკაცში დაბადებული. მას მიღებული ჰქონდა მაშინდელი დროის განათლება, კარგად იცოდა ბერძნული, ამიტომაც მიიღეს მწერლად მეფე ვრამშაპუხას (არშაკიდების დინასტიიდან) კანცელარიაში. მალე მესროფმა დასტოვა ეს სამოქალაქო მუშაობა და გადავიდა სამხედრო სამსახურში. ბოლოს ამასაც მიანება თავი და დაიწყო უდაბნოში განდგომილად ცხოვრება. დაიარა სოფლები, ყველგან ჰქადაგებდა ქრისტიანობას, მაგრამ მალე დაინახა, რომ მისი შრომა მეტად ძნელი იყო, რადგან სიტყვიერად უხდებოდა სამღვთო წერილის ახსნა. კითხვა კი ხალხს არ შეეძლო, რადგანაც სომხური ანბანი არ არსებობდა. ეკლესიებში ზოგან ბერძნულად, ზოგანაც ასირიულად ჰკითხულობდენ საღვთო წერილს, ამიტომ ხალხის უმრავლესობას არა ესმოდა რა. მესროფი მივიდა კათოლიკოს საჰაკ პართანელთან და გაუზიარა მას თავისი აზრი სომხურ ანბანის გამოგონების საჭიროების შესახებ. კათოლიკოსმა ეს მოუწონა და წაიყვანა ბერი მეფე ვრამშაპუხასთან. მეფემ მათ მიუთითა ასირიელ ეპისკოპოს დანიელზე: იმას აქვს სომხური ანბანიო. მესროფმა ნახა ეს ანბანი, მაგრამ უვარგისად სცნო, რადგანაც ზოგიერთი ასო აკლდა. გამოგონილი ასოები ყველა სომხურ ბგერას ვერ გადმოსცემდა. მაშინ მესროფმა დაიწყო ხელ-ახლა განდგომილად ცხოვრება ასურეთში, რომ აქ, უდაბნო ადგილას, გამოქვაბულში მოეხერხებინა ანბანის შედგენა. სომხებს თქმულება აქვთ, რომ აქ ამ გამოქვაბულში მესროფს ლოცვა-ვედრების დროს მოევლინა ხელი, რომელმაც ქვაზე დასწერა სწორედ ის ასოები, რომელიც აკლდა ზემოხსენებულ დანიელის ანბანს.

რასაკვირველია, ეს ლამაზი ლეგენდაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ აქ, ამ უდაბნოში, მესროფმა შეადგინა სომხური ანბანი და ბერძენ მწერლის როფანოსის დახმარებით მან დაჰყო ასოები მოკლე, გრძელ, წვრილ, უბრალო და რთულ ბგერებათ.

ამის შემდეგ დაიწყო საღვთო წერილის თარგმნა სომხურ ენაზე. გაიხსნა მრავალი სასწავლებელი. სირიელ და ბერძენ წმ. მამათა თხზულებანი მრავლად გადითარგმნა და ამგვარად მეხუთე საუკუნე სომხებისათვის ოქროს საუკუნედ გადიქცა.

როდესაც 1443 წელს ევროპაში უბრალო ოსტატმა დიდებულმა იოანე გუტენბერგმა გამოიგონა და ჩამოასხა სასტამბო ასოები, გამართა პირველი დასასტამბავი დაზგა, სომხებმაც 70 წლის ამ გამოგონების შემდეგ, ვენეციაში პირველად დასტამბეს პატარა წიგნაკი კალენდრული ცნობებით; ხოლო პირველი სომხური სტამბა გაიხსნა ეჩმიაძინში მეთვრამეტე საუკუნეში კათალიკოს სვიმონის დროს. სომხური გაზეთი „აზდარარ“ კი პირველად გამოვიდა 1794 წელს 16 ოქტომბერს ინდოეთში, სახელდობრ მადრასში. აი რა სამსახური გაუწია უბრალო ბერმა მესროფმა თავის ერს. ერმაც არ დაივიწყა ეს ღვაწლი და წმინდანად აღიარა.

ახლა კი 1500 წლის შემდეგ მოისურავა დიდი დღესასწაულის გამართვა ეჩმიაძინში და ყველგან, სადაც სომხები სცხოვრობენ. თვით მესროფი დაკრძალულია თავად ამატუნების მამულში ოშაკანში, ეჩმიაძინის ახლოს.

ჩვენც, ქართველებს, ძმური მოვალეობა გვიკარნახებს სალამი ვუძღვნათ მოძმე და მეზობელ ერს ამ დიდებულ მისი ეროვნულ დღესასწაულის გამო და ვუსურვოთ მას სრული წარმატება.

## ხიზნების საკითხის გამო.

ამ სათაურით გაზ. „მერცხლის“ 10 ოქტომბრის ნომერში დასტამბულია შემდეგი საყურადღებო განმარტება დეპუტატ კ. ჩხეიძისა;

„1907 წლის უკვე შევრდომლეს მოხსენებაში გარკვეულად და გადაჭრით იყო გამოთქმული, რომ ხიზნების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო დროებით ვალდებული გლეხების საკითხთან და გამოსყიდვის საფუძველი აქაც და იქაც ერთგვარი უნდა ყოფილიყო. განვლო დრომ და ეს აზრი შეიცვალა: სხვა და სხვა მიზეზის გამო და განსაკუთრებით კი თავად-აზნაურობის მეცადინეობით ეს ორი საკითხი ერთი მეორეს ჩამოაცილეს და სახელმწიფო სათათბიროს წარსულ წელს წარედგინა კანონ-პროექტი მხოლოდ დროებით ვალდებული გლეხების შესახებ. სანამ ეს მოხდებოდა, მესამე სათათბირო საკმაოთ გაეცნო ამ საკითხს, რადგან პირველად კანონ-პროექტი ვალდებული გლეხების შესახებ ჯერ კიდევ პირველ სესიაში შეიტანა სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ. ამავე ფრაქციამ შემდეგ ხიზნების შესახებაც შეიტანა საკუთარი კანონ-პროექტი. ამ რიგათ ხიზნების საკითხი კომისიებში ირკვეოდა დროებით-ვალდებულ გლეხების საკითხთან ერთად. მიწის საკითხის კომისიამ თავის დადგენილებაში რამდენჯერმე გამოსთქვა სურვილი ხიზნების საკითხის დაუყონებლივ გადაწყვეტის შესახებ. მეოთხე სათათბიროს პირველ სესიაში ს.-დემ. ფრაქციამ ხელახლა შეიტანა კანონ-პროექტი ხიზნების შესახებ. ეს კანონ-პროექტი განიხილა მიწის საკითხის კომისიამ და პრინციპიალურად მიიღო. წარსული სესიის უკანასკნელ ხანში (მაისში) ეს საკითხი განიხილა სათათბირომ და მიიღო წინადადება მიწის საკითხის კომისიისა. ამ რიგათ ხიზნების საკითხი სათათბიროში „არა ახალია—ძველია“. და სწორეთ შემდეგ ამ ხანგრძლივი ისტორიისა, როგორც იყო, დამზადდა მთავრობის კანონ-პროექტიც და ამ დღეებში მას შეიტანენ მეოთხე სათათბიროში. ეჭვი არ არის, რომ ეს კანონ-პროექტი მალე მიღებულ იქნება და კანონად იქცევა. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ჩვენ თავის დროზე ცნობებს მივაწვდით მკითხველებს, ახლა კი საჭიროთ მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ვისიც ჯერ არს, კანონ-პროექტის შემდეგ მუხლებს:

„მიწისმფლობელების უფლება, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ გლეხობის შესახებ დებულების 537 მ. ძალით და რომლის თანახმადაც მათ, მიწისმფლობელებს, შეუძლიათ ხიზნებს ხელი აალებინონ მიწის სარგებლობაზე, გაუქმებულ უნდა იქნას ამ მდგომარე 1913 წლის პირველ იანვრიდან. თანახმად ამისა, იმ ყოფილ ხიზნებს, რომელთ შესახებაც საგლეხო დაწესებულებებს უკვე დაუდგენიათ მათი აყრა ამა მდგომარე 1913 წლის პირველ იანვრის შემდეგ, უფლება არ ეკარგებათ დაბრუნდნენ და მოეწყონ თავიანთ მამულებზე თანახმათ წინანდელი ოქმებისა ხიზნების მოწყობის შესახებ, თუნდაც ეს ხიზნები უკვე აყრილიც იყვნენ თავიანთ მიწებიდან“.

კარლო ჩხეიძე.

## თბილისის პოლიტექნიკური კურსები.

ხალხის კულტურული და ეკონომიური განვითარება მარტო წერა-კითხვის ცოდნით და საზოგადო განათლებით არ განიზომება. თანამედროვე ტეხნიკის განვითარებამ ახალი პირობები შექმნა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ახალი საშუალებანი საარსებო ბრძოლისათვის. ხალხისთვის საჭირო შეიქნა წერა-კითხვისა და

საზოგადო განათლების იმისთანა სწავლა-განათლება, რომელიც მას არსებობისათვის ბრძოლას უადვილებს. ასეთია პროფესიონალური განათლება. ჩვენში წერა-კითხვის ცოდნა და საზოგადო განათლება ხალხში თან-და თან ვითარდება. მთავრობის თუ საზოგადოების თაოსნობით ამ ტიპის სკოლები ხალხში თან და თან ვრცელდება; რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეთ ამ სკოლებს, ისინი მაინც თავის დანიშნულებას ასრულებენ. სამაგიეროდ პროფესიონალური განათლების ხალხში გავრცელებაში არც მთავრობის და არც საზოგადოების თაოსნობა არა სჩანს და ეს მაშინ, როცა ჩვენში ცხოვრება ძალზედ რთულდება. ინდუსტრია და ტეხნიკა თან და თან ვითარდება. არც მარტო დიპლომიანების გამრავლებით შეიძლება სახალხო კულტურის შექმნა; ეს რომ ასე არ იყოს ჩვენზე უბედნიერესი სხვა ერი არ იქნებოდა, რადგანაც ორ მილიონ ქართველებს ყოველწლივ თითქმის ორი ათასამდის ახალგაზრდა ეზრდება უმაღლეს სასწავლებელში; არც ერთი კულტურული ერი არ იძლევა ასეთ დიდ პროცენტს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებისას. სახალხო კულტურისათვის საჭიროა თანამედროვე მეცნიერების და ტეხნიკის პრინციპების გავრცელება თვით ხალხში და ამნაირათ მისი ეკონომიურათ და კულტურულათ ამაღლება. ამისათვის ჩვენ სიამოვნებით უნდა ვეგებებოდეთ იმისთანა დაწყებას, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ხალხში პრაქტიკულ მეცნიერულ ცოდნის გავრცელებას.

ახლათ დაარსებული თბილისში პოლიტეხნიკური კურსები სწორედ ამ მიზნისთვის არის. მოამზადოს ჩვენში სხვა და სხვა დარგის ტეხნიკოსები, სპეციალისტები. ამ მიზნით კურსები ექვსი განყოფილებისაგან შესდგება: ჰიდროტეხნიკური, სამეურნეო, საამშენებლო, სამიწათ-მზომლო საგზო, საინჟენერო და კომერციულ-ეკონომიური. ახლო მომავალში კურსებთან იქნება ელექტრო-მეხანიკური და სამადნო განყოფილებები, მეტია იმისი თქმა, რომ ყველა ეს სპეციალისტები-მუშაკები ჩვენში საჭირონი არიან. ამგვარი კურსები რუსეთის დიდ ქალაქებში არსებობენ პეტერბურგში, მოსკოვში და კიევში, სადაც შეუძლო ხალხის შვილებს დიდს სამსახურს უწევენ; კურსებზედ შესვლა უეგზამენოთ შეუძლიათ სამოქალაქო სასწავლებლებში და პროგიმნაზიულ კურსებში კურს დამთავრებულებს. საზოგადოთ ასეთი კურსები პროტოტიპია გერმანიის პოლიტეხნიკუმების და ბელგიის უმაღლეს ინდუსტრიალურ სკოლების—ესენი ნამდვილი სახალხო პოლიტეხნიკუმებია. მხოლოდ ამ ქვეყნებში ასეთი კურსები არსებობენ ქალაქების და პროვინციალურ საბჭოების თაოსნობით, სადაც დემოკრატიული ელემენტი სჭარბობენ, რუსეთში კი კერძო თაოსნობით. თბილისის კურსების დამაარსებელი ინჟინერი ვინოგრადოვი მოსკოვის ყოფილი პროფესორი დიდი ენერგიის კაცია, იმედია მისი დაარსებული პოლიტეხნიკური კურსები თბილისში საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს.

ი—ლი.

## ხილეულობის ® ბოსტნეულობის გამოფენა თბილისში.

I

ეს გამოფენა ნათლად ხატავს მას, რი თაც მდიდარია კავკასია მებაღეობისა და მებოსტნეობის მხრით.

ოდესღაც ამიერ კავკასია წარმოადგენდა ერთიან ბაღს: ყოველი ხეობა, ყოველი ფერდობი, მზისკენ პირ-მიბრუნებული, ხატავდა მაღალკულტურულ ცხოვრებას. ამას ამტკიცებს მრავალი ნანგრევი, გამქრალ ქალაქების, სოფლების და მონასტრების ნაშთები.

მეტად საინტერესოა ცნობები, რომელიც მოჰყავს ათაბეგოვს კობლიანელს (ქართველი მაჰმადიანია) თავის ამხსნელ წერილში. მისი სიტყვით ახალციხის მაზრაში ხილეულობის რაიონს უჭირავს 1100 დესეტინაზე მეტი ადგილი. ბაღები გაშენებულია 1400 მეტრის სიმაღლეზედაც (ზღვის ზედა-პირიდან). ეს ბაღები გარშემორტყმულია კავკასიონის მთის შტოებით. წერილის ავტორი გვაუწყებს, რომ ამ 30—40 წლის განმავლობაში ჰავა გაფუჭდა და თანდათან ფუჭდება, რადგანაც მტარვალურად სჩეხენ ტყეებს და სწვავენ. ზაფხულობით სიცხე ადის 30—35 გრადუსამდე, ზამთრობით 20 გრადუსიანი ყინვა ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს. ამ მკაცრ ჰავის მიუხედავად, ბაღები მაინც მრავლდება. ახალციხის მაზრა თავის დროზე წარმოადგენდა ცალკე სახელმწიფოს **საათაბაგოს** ოსმალთა შემოსევამდის, მაშინ ბლომად მოჰყავდათ სხვადასხვა ბაღჩეულობა, პური, ყურძენი; ჰავა არ იყო ასე მკაცრი, იგი იყო თანაბარი და თბილი. ხილს უგზავნიდენ თვით ხონთქარსაც.

უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე შავიზღვის რაიონიც, მაგ. სოჩა, სადაც რუსების შემოსვლამდის სცხოვრობდენ აფხაზები, რომელნიც შემდეგ ოსმალეთში გადასახლდენ ამათ დასტოვეს მშვენიერი ბაღები, რომელნიც მალე გაფუჭდენ და ტყედ გადაიქცენ. ახლანდელ „კრასნაია პოლიანაშიაც“ აფხაზებმა დასტოვეს მდიდარი ბაღები.

ახლა კავკასია თითქო ახლდება. მეხილეობასა და მებოსტნეობას დიდ ყურადღებას აქცევენ. მკვიდრნი დაინტერესებულნი არიან ბაღებით და ამრავლებენ ამათ რიცხვს, თუმცა, უნდა ითქვას გლეხები ჯერ-ჯერობით ბევრ ყურადღებას არ აქცევენ ხილეულობის და ბოსტნეულობის გაუმჯობესებას. მათი ბაღები იდეალურად არ არის მოვლილი. ამ მხრით დიდი მნიშვნელობა აქვსთ სამეურნეო კოოპერაციებს, ამხანაგობებს, სპეციალურ სკოლებს, სანერგეებს და ცალკე პირებს, რომელნიც მეხილეობის კულტურას მისდევენ.

ამ გამოფენაზე ყველაზე მეტად თავი ისახელა გორის მაზრამ. რა ნაირ ნაირ ჯიშის ვაშლებია, მსხლები. გორის მაზრა სწორედ ობოლი მარგალიტია ამიერ კავკასიის მეხილეობის დარგში, არ შეიძლება არ აღინიშნოს განსაკუთრებით „მეურნეთა საქაშეთის ამხანაგობა“, რომელიც წელს დაარსდა. ამ ამხანაგობის მიერ გამოფენილი ნიმუშები თვალს ჰხიბლავენ თავის სიდიდით, გარეგნობით და სილამაზით. მსხალი „მარგარიტა-მარილია“ თავის გემოთი და სილამაზით ჰმეფობს გამოფენილ ხილის კრებულში საქაშეთის ამხანაგობას ჯერ-ჯერობით დიდი რაიონი არ უჭირავს. მას აქვს 20 დესეტინამდის, რომელზედაც 3.500 ხეხილია, რომელმაც 5000 ფუთამდე მოსავალი მისცა მის პატრონთ. ამხანაგობას შეადგენენ: ა. დ. მაჩაბელი (5 დეს.), ძმ. დიასამიძეები (8 დეს.), მღვ. მ. ედილაშვილი (1 დეს.), ს. ტიტვინიძე (3 დეს.), ლ. გულისაშვილი, ვ. სალარიძე, ილ. მაჟავარიანი. ამხანაგობას მოჰყავს განსაკუთრებით სამრეწველო ჯიშის ხილეულობა. ვაშლიდან—კალვილი, რენეტი და სხვ., რომელნიც შენახვის მხრით უფრო სძლებენ. ა. მაჩაბელი უფრო ყურადღებას აქცევს მსხალს (30 ჯიში აქვს, ვაშლი კი 20). მის ბაღში მოდის მშვენიერი „მარგარიტა მარილია“. ამხანაგობის განყოფილება ხილეულობის ჯიშის სიწმინდით სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ ამხანაგობის ახლოს გამოუფენია გორელ ა. ვ. ბაბალოვს 40 ჯიშის ვაშლი (რენეტი, კეთილშობილი ბოჰემისა და სხვ.) და 26 ჯიშის მსხალი. ნიმუშები ურიგო არ არის.

ამაზე ზემოდ გამოფენილია ნიმუშები მამულ ნიქოზიდან, რომელიც ცნობილია შვიდ დესეტინიან თავის სანერგეთი და ექვს—ნახევარ დესეტინიან ბაღით. ნიქოზი ცხინვალს ახლოს მდებარეობს. გამოფენილია 130 ჯიშის ვაშლი. სანერგეს და მასთან გაკეთებულ პომოლოგიურ ბაღის მიზანია ხელი შეუწყოს ამიერკავკასიის სამრეწველო მეხილეობას. „ნიქოზის“ პატარა წიგნაკში ურჩევენ მოსაყვანად ვაშლებიდან: თეთრ კალვილს, კალვილ ლეზანს, წითელ კალვილს, და სხვადასხვა რენეტს, თეთრ რაზმარინს; მსხლებიდან: არდანპონს, ბერე ბოსკს, მარგარიტა-მარილას, პას-კრასანს.

ე. ფსკოვიტინოვი.



† გიგა ჯუღელი.

## ხალხის მეგობარი.

ახლად გარდაცვალებული გიგა ჯუღელი მეტად გრძნობიერი, პატიოსანი და წმინდა კაცი იყო.

გადიკითხეთ ის მრავლად დაწერილი პატარა წერილები, რომელიც დასტამბა თითქმის ყველა ქართულმა გაზეთმა მიმართულების განურჩევლად მისი გარდაცვალების გამო და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა ერთგული მეგობარი დაჰკარგა ჩვენმა მშრომელმა ხალხმა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს დაუვიწყარი ადამიანი მუშაობის დროს, ის არასოდეს არ დაივიწყებს მის ნათელსა და გაბრწყინვებულ სახის მეტყველებას, რომელშიაც გამოსჭვიოდა მისი სულიერი სისპეტაკე.

მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ არ დამდგარა დრო, რომ ამისთანა პირების სურათი თავისუფლად დაიხატოს დიდი აუდიტორიის წინაშე

მაგრამ არის მაინც წრე, „ტანჯულთა და მაშვრალთა“ წრე, რომელშიაც არასოდეს არ დაივიწყებენ ამისთანა პიროვნებას და რომელიც, მოვა დრო, ღირსეულად გადაუხდის მადლობას თავის მეგობარს.

ახლა კი ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ შინაარსი იმ წერილებისა, რომელიც დასტამბა გ. ჯუღელმა „თემში“ გრ. სვირ-სკანდელის ფსევდონიმით.

ყველაზე საყურადღებო წერილს სათაურად აქვს „ჩვენი შინაური საქმეების გამო“. („თემი“ 1912 წ. № 62) ამ წერილში მთლად გამოიხატა ავტორის პატიოსანი ბუნება. იგი ჩივის ჭეშმარიტ დემოკრატიულ მიმართულების დაქსაქსვის გამო და ურჩევს ორ მიმართულებას საერთო სამოქმედო გეგმა შეიმუშავონ. ამ რჩევას ასაბუთებს მშრომელი მასის ინტერესების მოთხოვნილებით. აი მისი ჭეშმარიტი სიტყვებიც: **„რამდენად ც რუსეთის დემოკრატიის ქართველი წარმომადგენლები უმაღლეს მწვერვალიდან ძირს დაეშვებიან და თავის ინტერნაციონალიზმს გააუქმებენ წმინდა, სპეტაკი ნაციონალიზმით და რამდენადაც ქართველი, ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, დემოკრატია თავის ნაციონალიზმს ამოავლებს ინტერნაციონალიზმის ემბაზში,—მით უკეთესი იქნება რუსეთისა და ქართველი მშრომელი ხალხისათვის“.**

ვინც ჩაუკვირდება ამ ლამაზად დაწერილს სტრიქონებს, ის ადვილად აღმოაჩენს იმ ღრმა აზრს, რომელსაც ისინი შეიცავენ. მართლაც ამ რჩევის ასრულება მოსპობდა იმ უაზრო და უსიამოვნო დავიდარაბას, რომელიც ატყდება ხოლმე ჭეშმარიტ-დემოკრატიულ წრეში ჩვენი ეროვნული საკითხის გარეშემო.

შემდეგ გ. ჯუღელმა გამოგვიგზავნა საქართველოს ავტონომიის შესახებ ვრცელი, დიდი წერილი, რომელიც ჩვენს მომავალ ერთ-ერთ გამოცემაში დაიბეჭდება.

„თემის“ 13 და 15 ნომრებში იგი არკვევს თავის შეხედულებას „ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამრავლებაზე“. მას ახარებს ეს მოვლენა, თანაც აშინებს, ვაი თუ ლიტერატურული ძალები დაიქსაქსონ და გამოცემები სუსტნი გამოვიდნო.

ამავე წერილში იგი სწუხს აგრეთვე, რომ „სხვადასხვა მიზეზის გამო მიხაილოვსკ-ლავროვის მიმდევართა იდეურ მიმართულებას“ არა აქვს თავისი გამომხატველი ლიტერატურული ორგანო.

„თემის“ 12 ნომერში გ. ჯუღელი სიხარულით ეგებება არჩილ ჯორჯაძის წერილებს „მეოთხმოციანთა“ შესახებ და მოითხოვს, რომ ახალგაზრდობისათვის საჭიროა გამოირკვეს აგრეთვე ის ლიტერატურული მიმდინარეობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენში 50—80 წლებში, თორემ სრულებით დაგვავიწყდება „კავშირი შორეულ წარსულისა და ჩვენი ხანის შუა“.

„თემის“ 51 ნომერში გრ. სვირ სკანდელი ურჩევს თავის სამშობლო სოფლის სვირის ინტელიგენციას მეტი უნარიანობა გამოიჩინოს სახალხო, სასოფლო საქმეში.

დაგვრჩენია მხოლოდ მოვიხსენიოთ „თემის“ 48 ნომერში დასტამბული ლამაზი ეტიუდი „ქარი საზარლად ზუზუნებდა“, რომელშიაც „განწირულთადმი“ დიდი თანაგრძნობა გამოსჭვივის.

ჩვენდა საუბედუროდ ამ „განწირულთა“ შორის მოჰყვა ეს თვით მაღალ-ზნეობრივი ადამიანიც. უეჭველია, მაშინ, როდესაც იგი ჰშორდებოდა ტანჯვით სავსე წუთისოფელს, იქ ცივ უცხოეთში, მაშინაც „ზუზუნებდა ქარი, საშინლად ჰქროდა, მაგრამ ბოლოს, განწირულს თითქო თანაუგრძნობსო, დასცხრა, დამშვიდდა“.

მაგრამ განა ქარი სამუდამოდ ჩადგება, რომ აღარ ამოვარდეს?!

გ. დ.

## ძვირფას გიგა ჯუღელის ხსოვნას!

როდესაც წარმოვიდგენ შენს სახეს, ძვირფასო გიგა, ერთი სიტყვა აღარ შორდება შენი სამუდამოთ დაკარგვით დაავათმყოფებულს ჩემს გონებას. ეს სიტყვაა „გულწრფელობა“. ბევრი მინახავს კაცობრიობის უმაღლეს იდეალისათვის მებრძოლთა შორის ძლიერი პიროვნება, მაგრამ შენისთანა ძლიერთ-ძლიერი გულწრფელობით იშვიათად, ძლიერ იშვიათად. ვინ იცის, ვის რა მოტივი ამოძრავებდა, რასაკვირველია, შეუგნებლად, სტიქიურად! ზოგისთვის თვით ბრძოლა შეადგენდა სტიქიას, ზოგისთვის... კიდევ სხვა რამე. მხოლოდ შენ იდექი განკერძოებით, მხოლოდ შენ იყავი ძვირფასი გამონაკლისი შენს წრეში... შენ არ იცოდი, რა არის თავის გამოჩენა, თავისი „მეს“ წამოყენება თუნდაც ისეთ წმინდა საქმეში, რომელსაც შენ ემსახურებოდი... მხოლოდ საერთო, საზოგადო საქმისათვის თავდავიწყებით შრომა, მხოლოდ ჩაგრულთა და დევნილთადმი გულწრფელი სიყვარული—აი რა იყო შენი სტიქია. მე ვერ წარმომიდგენია, რომ შენ ხსენებაზე ვისმეს გაახსენდეს სიტყვები: „პატივ-მოყვარეობა“, „სახელი“ ეგ სიტყვები შენთვის უცნობნი იყვნენ, შენს ლექსიკონში, შენს არსებაში არ ჰქონდა ბუდე ამ ჯადოსნურ სიტყვებს. მით უფრო ძნელა ჩვენთვის შენი დაკარგვა... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მარტოდ მარტო შენ იყავი სულის ჩამდგმელი საერთო საქმისა, შენ იყავი შემაერთებელი ძალა სუსტი, ძლიერ სუსტი ძალებისა:—მეტის-მეტი გულწრფელი იყავი, ძვირფასო გიგა; უკან დახევა არ იცოდი; როდესაც ყველამ უკან დაიხია, ყველა ჩამოგრჩა, შენ მაინც წინ მიდიოდი. ბევრს რცხვენოდა შენი და შენს თვალზე მოგდევდენ უიმედოთ, ურწმენოთ... როდესაც კი უხეშმა ძალამ მოაშორა შენი თავი შენს წრეს, მაშინ ისარგებლეს შემთხვევით... ვერავინ ვერ დაიკავა შენი ადგილი, არავინ არ აძხნევებდა ამხანაგებს, მათ სინიდისს არავინ არ ამოძრავებდა, ისარგებლეს დროთი და მთლად მოგშორდენ. მოშორდენ შენს საქმეს, წმინდა საქმეს... და განა შეიძლებოდა ყველა ამის ატანა შენთვის,—თუნდაც ღრმა და გულწრფელი რწმენით დაჯილდოვებულისათვის... და აკი ვერ აიტანე კიდევაც. ფიზიკურ განმარტოებას შორს, ცივ უცხოეთში ადვილად იტანდი. ზნეობრივი, სულიერი განმარტოება ვერ აიტანე და აკი ჩამოშორდი კიდევაც მთლად, საუკუნოდ შენს ამხანაგებს. გვაპატიე, ძვირფასო გიგა, ჩვენ ვერ შევსძელით შენსავით ეკლიანი გზით სიარული. ჩვენ უძლურნი გამოვდექით, მოკლებულნი იმ სულიერ სიმდიდრეს, რომლითაც შენ უხვად იყავი დაჯილდოვებული. მაგრამ რაც შენ ჩვენთვის სამაგალითო სიცოცხლეში ვერ შეგვაძლებინე, შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა ვალად გვდო იმის შეძლება. როგორც სიცოცხლეში გვამხნევებდი, გვაშრომებდი და ჩვენი პატარა, სუსტ ძალებსაც კი იყენებდი საქმისათვის, ისე სიკვდილის შემდეგ შენი სპეტაკი, წმინდა სახე მუდამ ნათელი სვეტივით გვექნება წინ ცხოვრების გზის მაჩვენებლად. ჩვენ ღრმათა ვგრძნობთ ჩვენს დანაშაულს შენს წინაშე და ამიტომ ჩვენი სინიდისი მხოლოდ მაშინ შეიძლება დამშვიდდეს, როდესაც მოვიხდით ზნეობრივ ვალს, შენის სიკვდილით გამოწვეულს.

ანდრო.

✦✦✦✦✦

## სამგლოვიარო ბარათი

ეს—ეს არის გავიგე შორს, ციმბირში გიგა ჯუღელის უდროვოთ დაკარგვა.

კიდევ ერთი იმსხვერპლა ამ ცივმა და ულმობელმა მხარემ.

მოიტაცა საშინელმა სენმა დაუღალავი და გაბედული მუშაკი... არ ჰგავდა ზოგიერთი მყვირალა მომუშავს. განსვენებულს უყვარდა ჩუმი მუშაობა... მიიცვალა მშობლების და ამხანაგების მოუვლელი.

ვერ ეღირსა მშობლებსა და ამხანაგებს გიგას გაცივებულ გვამს გამოსთხოვებოდენ.

მიუხედავად ჩემი მსოფლ-მხედველობისა, დიდად შემაწუხა ისეთ ადამიანის დაკარგვამ, როგორიც იყო განსვენებული გიგა.

ვიზიარებ მის მშობლების და ამხანაგების უსაზღვრო მწუხარებას...

ჯ—კაცი **იონა კილასონია**

## გ. თუმანიშვილის წერილი

### ჩვენი რედაქციისადმი

ბატ. რედაქტორო! ჯერ გაზეთ „იმერეთში“ და შემდეგ გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩში“ დაიბეჭდა წერილები, რომლებშიაც სრულებით გადასხვაფერებულია შინაარსი ჩემის სტატიისა, „წერილები კავკასიიდამ“ (იხ. ამ წლის რუსულ ჟურნალ „სოვრემენიკის“ ენკენისთვის წიგნი.) ჩემი კრიტიკოსები ძლიერ ჯავრობენ იმის გამო, ვითომ მე ნავთლუღი მერჩივნოს საბურთალოს. მართალია, დიდი დანაშაულობა არ იქნებოდა, რომ ნამდვილად ნავთლუღის მომხრე ვყოფილიყავ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მე ამ საგანს ჩემს სტატიაში სრულებითაც არ შევხებივარ არსებითად მე მხოლოდ მსურდა მეჩვენებინა მკითხველებისათვის, რა დიდათ ავნებს საქმეს ისეთი განხეთქილება ქალაქის ძველს და ახალს ნაწილის შუა (ნავთლუღსა და საბურთალოსი), რომელიც გამოიწვია მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის ადგილის არჩევამ. მე ამით ვიმეორებ, სრულებითაც არ მინდოდა მეთქვა უეჭველად ეს ან ის ადგილი აირჩიეთ-თქო.

მაგრამ ამნაირი დანაშაულობა მხოლოდ რომ დაებრალებინათ ჩემთვის ხსენებულ გაზეთებს, იქნება მე ხმაც არ ამომეღო. ამას გარდა ჩემი კრიტიკოსები კიდევ მაბრალებენ, ვითომ მე მტერი ვიყო ქართველებისა, ვითომ მე მსურდა „გამელახა ჩვენი მეზობლების ხალხოსნური თვითმოყვარეობა“. ასეთი აზრი ძლიერ საწყენია ჩემთვის, რადგან მთელ ჩემ სიცოცხლეს, სიბერემდინ, რაც შემეძლო ვცდილობდი კეთილმოყვრული ურთიერთობა ჩამომეგდო ქართველებსა და სომხებს შუა, მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის წარმატება. რომ ეს ცარიელი სიტყვები არ არის, ნება მიბოძეთ თქვენს გაზეთში მოვიყვანო ის წერილი „სოვრემენიკიდამ“ რომელმაც გააცეცხლა ჩემი მოწინააღმდეგენი. მე მგონია, რომ ზოგიერთებს არ დაეზარებათ ჩემი წერილის წაკითხვა, რადგან ის შეეხება ისეთ საგანს, რომელიც ჩვენმა ცხოვრებამ ამ უკანასკნელ დროს წინ წამოაყენა და რომელიც ყველას დააინტერესებს.*)

თქვენი პატივისმცემელი

გ. თუმანიშვილი.

*) ამ წერილს დაუბეჭდავთ შემდეგ ნომერში და გამოვსთქვამთ ჩვენს აზრსაც. რედ.

## ახალგაზრდა მგოსნის ქუჩუ ქავთარაძის („დემონის“) შესახებ.

უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მგოსანი ქუჩუ ქავთარაძე ჩემი მოწაფე იყო 1904-1907 წლებში, როდესაც ქართულს ენას ვასწავლიდი თბილისის სასულიერო სემინარიაში. ის, რამდენადაც მახსოვს, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი იყო, წიგნების კითხვას ეტანებოდა, გაკვეთილებს მაინცა და მაინც არაფრად სწყალობდა... მეტად უყვარდა სამშობლო ენა და კიდეც იცოდა საფუძვლიანად. ამავე ენას ქუჩუ ქავთარაძე დიდის ხალისით სწავლობდა თურმე, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რომლის მოწინავენი სემინარიაში ყოველთვის განსხვავდებოდნენ ქართულის ენის ცოდნის მხრით.

ქუჩუ ქავთარაძე დიდის დაკვირვებით ეკიდებოდა სემინარიაში როგორც ძველი ქართულის, ისე თანამედროვე სამწერლო ენის შესწავლას: ორსავე ენას ის **ძლიერ საჭიროდ** სთვლიდა ქართველი ადამიანის **გათვითცნობიერებისათვის.** სათხზულებო თემებს ქართული საერო მწერლობიდან ვაძლევდი მოწაფეებს. ქუჩუ ქავთარაძე ქართულს თხზულებას **საუკეთესოდ** სწერდა... ქართულს წიგნებს გატაცებით კითხულობდა და რაც ჟურნალ-გაზეთებში რამ იწერებოდა, დიდის დაკვირვებით ეცნობებოდა... მეორე კლასში იყო, რომ თავისი ლექსთა კრებული გადმომცა და მთხოვა ჩემი აზრი მათ შესახებ გამომეთქვა. დიდის ალტაცებით წავიკითხე მისი წიგნი და ქართული ენით სხარტულად დაწერილი ლექსები, რომელთა შინაარსი ეროვნულ-დემოკრატიული ელფერისა იყო... მაგრამ ამ ლექსებს აკლდა ავტორის **ღრმა განვითარება,** რაც ესდენ აუცილებელია განსაკუთრებით თანამედროვე მწერალ მგოსნისთვის, ურომლისოდ იგი ამ მწვავე და დარბაისლურ საკითხებით აღსავსე სოფელში **„ოცნების“** და **„ღიმილის კოცნას“** ვერ გასცდება და, საერთო საკაცობრიო უმაღლესი პროგრესიული იდეალებით განმსჭვალული, თავისი საპირადო „მეს“ თაყვანისცემის უფსკრულში ჩაეშვება... ამის მსგავსი ჩემი აზრი ქუჩუ ქავთარაძის ლექსთა კრებულის ბოლოში მხოლოდ რამდენიმე სტრიქონის წარწერით ლექსადვე გამოვსთქვი და ავქსონს კრებული გადავეცი... იმავე დღეს მოწაფეებთან მქონდა საუბარი პოეტის შემოქმედების შესახებ და აგრეთვე იმ პირობათა და გარემოებათა თაობაზე, რომელთ მეოხებით მგოსანი შეიძლება გახდეს ერის ნამდვილ მესვეურად... კერძო საუბარში ჩემთან ქუჩუ ქავთარაძემ მიძღვნა მადლობა „გზის ჩვენებისათვის“ და აღმითქვა, რომ კვლავ განაგრძობდა საფუძვლიანს **თვითგანვითარებას.** მეტად გამეხარდა როდესაც **ოფიციალურად** 1907 წელში სინოდმა ნება დართო ქართული საერო მწერლობის და ქართულისავე სამოქალაქო საეკლესიო ისტორიის სწავლებისა... გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა სინოდის წინაშე ქართული სიტყვიერების შემოღების შესახებ ქართული საეკლესიო ენის სანაცვლოდ. (იხ. 1907 წლის სემ. გამგეობის ჟურნალი № 13*) მთელს მოწაფეებს ფრიად გაეხარდათ, როდესაც სინოდმა ნება დართო ქართული მწერლობის და ისტორიის სწავლებისა. ქ. ქავთარაძემ გახარებულმა, მახსოვს, სთქვა: „მადლობა ღმერთს!.. ჩვენი ლიტერატურის უფლება აღიარესო“. 1908 წლის იანვარში ტფილისის სემინარიის თავი დავანებე... მასუკან მესმოდა, რომ ქავთარაძე მწერლობას ეწყობაო... პოემაც დასწერაო, მაგრამ რა ღირსებისა იყო ეს პოემა და სხვა მისი ნაწერები, ამის შესახებ არა ვიცოდი რა. თით-ოროლა დაბეჭდილი მისი ლექსი მოწმობდა, რომ მის გულში ჰღვიოდა ღვთიური ცეცხლი, რის მეოხებით, უეჭველია მომავალში საუკეთესო მგოსანი დადგებოდა... მაგრამ თავზარი დამცა მისი უდროოდ გარდაცვალების ამბავმა... სამშობლო ცას მოსწყდა და უფსკრულში შთაინთქა ერთი საიმედო ვარსკვლავთაგანი...

ი. ფერაძე.

P. S. „თემის“ რედაქციის წინადადება, რომ ის იკისრებს ახალგაზრდა მწერლის ლექსების ერთ წიგნად გამოცემას, მეტად თანაგრძნობის ღირსია.

ი. ფ.

*) ამ საკითხს ცალკე წერილში შევეხები რადგან მას ვრცელი ისტორია აქვს, რომელიც შევისწავლე ნამდვილ მასალებიდან. ი. ფ.

## შიმშილობის მოლოდინში.

დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან წელს მოუსავლობის გამო საშინელს შემაძრწუნებელს ამბებს გვაცნობებენ. ხანგრძლივმა შეუბრალებელმა ძლიერმა გვალვამ სწორედ ერთიანად გაანადგურა ნათესი. გაზეთების ცნობით არ მოიძებნება ერთი კუთხეც კი, რომ სადმე მცხოვრებლებს 2-3 თვის საზრდო მოსვლოდეს. ერთი სიტყვით ულმობელი სიმშილი კარზეა მომდგარი და თავისი სიმკაცრით სოფლის საცოდავ მშრომელ ხალხს მრისხანედ ემუქრება. შველაა საჭირო და სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით მაშველი კი არსაიდანა სჩანს. სიმშილობის მოლოდინის გამო საშინელს სასოწარკვეთილებას განიცდის მშრომელი ხალხი სოფლად. ბევრმა მრისხანე საუკუნემ გადირბინა ქართველ ერის თავზე, მაგრამ იმდენი ფიქრი და იმდენი სევდა-ვარამი არ განუცდია მას, რამდენსაც ამ ჟამად. ამ მეოცე საუკუნეში განიცდის. ყოველ წამს თვალ-წინ უდგია მას სიმშილობის საშინელი სურათი. მართლაც რით გამოჰკვებოს თავისი ცოლშვილი და რით დააკმაყოფილოს უთვალავი სხვა-და-სხვა გვარი მოთხოვნილება? საშინლად დაღვრემილი სახით გამოიყურება დღეს მშრომელი ხალხი, ფიქრობს თავის უკიდურესს მდგომარეობაზედ, თავის მომავალზედ, მაგრამ, ვისმიჰმართოს საშველად, არ იცის.

დიაღ შველაა საჭირო და თუ ეხლავე არ მივიღეთ ზომები სიმშილის წინააღმდეგ, ადვილად შესაძლებელია გაჩნდეს სხვა და სხვა ავადმყოფობა და გადამდები სენი, მაშინ გვიანღა იქნება სინანული... ამისათვის საჭიროა ყველამ შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს სასოწარკვეთილ სოფლის მშრომელ ხალხს. მთავრობასაც უნდა მივაღებინოთ ზომები. საჭიროა ის თანხა, რომელიც თითო აბაზობით ჰკრეფდნენ ყოველს საზოგადოებაში, ამ საგანსვე მოხმარდეს. დიაღ,

სწორედ დღესაა საჭირო ეს თანხა, თუ მართლაც იგი ხალხის საკუთრებას შეადგენს, მაგრამ ვაი თუ, ვინ იცის სად უძევს მას თავი?!..

საწუხარო და სავალალო ყველაზე უფრო კიდევ ის არის, ვისაც იჯარით ყანები ჰქონდა წელს აღებული, ნათესი ყველგან გაუნადგურდა ხანგრძლივი სიცხის გამო. თითქმის მეათედიც არსად მოსულა და ამავე დროს კი ყანების იჯარის ფულს პატრონები კვლავ უკლებლივ თხოულობენ. რა ჰქნას საწყალმა მუშამ, აღარ იცის ნუ თუ მიწის პატრონნი არ შევლენ საწყალ მუშების მდგომარეობაში და თუ სულ არა ნახევარს მაინც არ აპატიებენ?

ი. ძირულისპირელი

---

### ცნობები რაჭიდან

როგორც ყველას მოეხსენება, წლეულს საშინელმა გვალვამ მთელი საქართველო დააზარალა, გაუცრუა მეურნეს იმედები, და საბრალო სოფელს შიმშილის სახით თავზე წამოადგა.

ჩემს წერილში მსურს მივუთითო მკითხველ საზოგადოებას რაჭის მცხოვრებთა მომავალზე.

ყველას მოეხსენება, რომ რაჭა მიწის სივიწროვით ვერ აკმაყოფილებს მკვიდრთა საჭიროებას. რაჭაში თითქმის, ყოველ წლივ სარჩოს ნაკლებულობაა, მაგრამ ეს მოვლენა მწვავდება მაშინ, როცა მოსავალი რაიმე მიზეზისაგან ზიანდება. რაჭას, მთა გორიანობის წყალობით სარწყავი წყალი არ უდგება, ყანები მეტ ნაწილად გაკეთებულია ნიადკრისაგან ჩამორეცხილ ხრიოკ ფერდობებზე, სადაც მოსავალი დამოკიდებულია ამინდზე. იმ დროს, როცა სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში მოსავალი შუა ღირსებისა მოდის, რაჭა, მოსავლის სოლცარ ნაკლებობას განიცდის, ხოლო იმ დროს კი, როცა სხვა მხარეზე მოსავალი ნაკლებია, რაჭა სრულიად იმშევა, და აი, ეხლა თამამად და უტყუვრად შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, რომ რაჭაში შიმშილობა უკვე დაიწყო. მთის მრავალ სოფლის მცხოვრებლებმა უკვე ნასყიდი სიმინდით დაიწყეს თავის გამოკვება. აბა იფიქრეთ, აქედანვე წლის სარჩოს შეძენა ხელ-მოკლე გლეხისათვის ისიც ისეთ ფასებში, როგორადაც თერგის ოლქიდან გადმოტანილი სიმინდი იყიდება ფუთი 1 მ. 40 კ... განა შესაძლებელია გაუძლოს ამას გლეხკაცობამ ყველაზე მაგარი ის გახლავთ, რომ მამისონის უღელ-ტეხილი შუა-გიორგობისთვიდან თოვლის გამო დაიკეტება, სამხედრო ოსეთის გზა—ტკეცილზე საურმე მიმოსვლა ქ. ქუთაისიდან ზამთრის ოთხ თვეში შეუძლებელი გახდება, და მაღალ მთებ-შუა მომწყვდეული დამშეული რაჭა, საშინელს განსაცდელში ჩავარდება.

ბატონებო! ვისაც გსურთ ხალხისთვის ხელი გაანძრიოთ, აი ასპარეზი?..: რაჭის წლევანდელი მოსავალი ჩვეულებრივის მეოთხედს არ აღემატება.

ჯაფარ-რაჭველი.

---

## გაბრიელ ეპისკოპოზის

### ცხოვრების და ნაღვაწის აღწერის გამოცემის შესახებ.

იმერეთის განსვენებული მღვდელმთავარი გაბრიელი († 1896 წ.) საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში დიდი პიროვნებაა... მისი ცხოვრება და ხანგრძლივი მოღვაწეობა დიდის ყურადღების და შესწავლის ღირსია. მის მიერ შედგენილი: „ოპიტნაია ფსიხოლოგია“ ერთს დროს სწორ-უპოვარი წიგნი იყო რუსულს მწერლობაში და ამის გამო დიდხანს სახელმძღვანელოდ იხმარებოდა ფსიხოლოგიის შესასწავლად რუსეთის სასწავლებლებში. ამ მისმა შრომამ რუსეთში და საზღვარგარეთ კრიტიკოსთა (მაგ. დობროლიუბოვის) ყურადღებაც კი დაიმსახურა... მისი მარტივი ღრმა აზროვანი ქადაგებანი გადათარგმნილია რუსულს და ინგლისურს ენებზე... ამ სახით გაბრიელ ეპისკოპოზის სახელი ჩვენი ხალხის ეროვნულს სიამაყეს შეადგენს. მის სამღვდელმთავრო გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა მთელი დასავლეთი საქართველო ოცდაოთხი წლის განმავლობაში, ხოლო იმერეთის ეპარქია კი 38 წელსა... თუ დასავლეთი საქართველოს შვილები, დღეს დაწინაურებულნი არიან ცხოვრების სხვა და სხვა დარგში, ამაში წილი, უეჭველად, გაბრიელის საკულტურო მოღვაწეობასაც უძევს... მან თვისი ფეხით მოიარა თითქმის მთელი საქართველო, სვანეთი და აფხაზეთი. მჭევრმეტყველმა ენამ თითქოს ყველგან დასთესა თესლი კეთილი, რომელმაც შემდეგში გამოიღო კეთილივე ნაყოფი... მისმა დასაფლავებამ გელათის მონასტერში მიიზიდა მრავალი ხალხი საქართველოს ყოველი კუთხიდამ!..

კარგა ხანია ამბობენ, რომ მ. მელიტონ კელენჯერიძე მასალას აგროვებს და ადგენს გაბრიელ ეპისკოპოზის ცხოვრების და მოღვაწეობ ს ვრცელს აღწერასო... ველოდით შრომა დაიბეჭდებოდა და მღვდელ-მთავრის ცხოვრებას ვრცლად გავეცნობოდით... მაგრამ მოლოდინი დღემდის ვერ გამართლდა... როგორც ნამდვილად შევიტყეთ ხსენებული შრომა მ. კელენჯერიძეს უკვე დაუმთავრებია... ეს შრომა ვეებერთელაა... მასში დახასიათებულია გაბრიელ ეპისკოპოზის მოღვაწეობა ყოველმხრივ... ბევრი ისეთი მასალაა მოთავსებული, რომელიც ჯერ გამომზეევბული არყოფილა... ეს მასალა სხვა და სხვა არხივებისა და სიძველეთ საცავებში შეაგროვა მ. კელენჯერიძემ: სინოდალურ კანტორაში,— თბილისის სემინარიის არქივში,-იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში და კიდევ ბევრს სხვა ადგილას. შრომა დიდათ შინაარსიანი გამოვიდა. ავტორმა მიმართა თხოვნით სხვა და სხვა ქართულს დაწესებულებას, რომ ამ შრომის დაბეჭდვა ეკისრათ, მაგრამ მათგან ცივი უარი მიიღო. კერძო ქველმოქმედმა პირებმაც, რომელთ იმედი ჰქონდა ავტორს, ზურგი შეაქციეს და უარი უთხრეს მისი შრომის დაბეჭდვაზე. ბოლო დროს „შინაური საქმეების“ რედაქტორმა მ. სიმონ მჭედლიძემ გაბედა და შრომის ერთი ნაწილის დაბეჭდვას ხელი მიჰყო (ბიოგრაფია და მოღვაწეობის საზოგადო დახასიათება)... მაგრამ უსახსრობისა გამო ბეჭდვა შუა გზაზე შეაჩერა; დაიკლდა ქაღალდი და ბლომად ვალი დაედო. ამ საყურადღებო შრომის მხოლოდ 120 გვერდია დაბეჭდილი. პირველს ტომს დასამთავრებლად 200 მანეთი სჭირდება.... პირველი ტომი რომ დაიბეჭდოს, დანარჩენი ტომებიც, რიცხვით სამი ადვილად დაიბეჭდება. დაბეჭდილ ტომის გაყიდვის შემხებით...

ჩვენი წერილის საგანია მივაქციოთ შეგნებულ ქართველი საზოგადოების წევრთა ყურადღება ამ საგანს. ჩვენ გვწამს, რომ არც ერთი შეგნებული ქართველი არ დაიშურებს წვლილს ამ წარჩინებულ პიროვნების ცხოვრების და მოღვაწეობის წიგნის შესაძენად... უპირველეს ყოვლისა ქართველი მღვდელმთავრების და სამღვდელოების მოვალეობაა მ. კელენჯერიძის შრომის დაბეჭდვას ხელი შეუწყონ. ვერ დავიჯერებთ, რომ ჩვენი საზოგადოების საერო პირთა შორის ისეთები არ მოიპოვებოდნენ, რომ ხსენებული პირველი ტომის დასაბეჭდათ 200 მანეთის გამოღება არ შეეძლოთ... გაბრიელ ეპისკოპოზი რომ სხვა რომელიმე ერის შვილი ყოფილიყო, აქამდის მრავალი ტომი მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ დაბეჭდილი იქნებოდა. .

ი. ფერაძე.

---

## ახალი ამბები.

ამას წინად ტყვედ წაყვანილი მდიდარი მემამულე მიხრან ანანოვი გაანთავისუფლეს. იგი ფეხით მივიდა თვითონ სიღნაღურ ტყვიბულს. გუშინ უკვე თბილისს მოვიდა.

---

ეგზარხოსად დაინიშნა ტობოლის ეპისკოპოსი ალექსი, რომელიც ადასტურებს გარდაცვლილ ეგზარხოსის პოლიტიკას.

---

15 ოქტომბრიდან გაიხსნება სახ. სათათბიროს სხდომები.

---

დეპ. გელოვანი იყო ლეჩხუმში, შეჰკრიბა ცნობები და ახლა მიემგზავრება საქართველოს სხვა კუთხეებში. მის მოგზაურობას ცალკე წერილს ვუძღვნით.

---

მომავალ წლიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს თბილისში მიემატება ერთი პატივცემული წევრიც: ბაქოდან გადმოსახლდება ცნობილი ექიმი ელიაშვილი.

---

ბ. სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული საზოგადო მოღვაწეთა სურათები ძალიან იყიდება. გამომცემელი ამ მოკლე ხანში კიდევ ბევრს სხვა მოღვაწის და მწერლის სურათს დაბეჭდავს

---

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მომავალ კრებისათვის გამოსცა ვრცელი ანგარიში წარსული წლის მოქმედებისა, რომლის მიღება უფასოდ მსურველთ შეუძლიათ ყოველ დღე საზოგადოების კანცელარიაში.

---

გამოვიდა პროფ. ს. ავალიანის დიდი გამოკვლევის „საგლეხო საკითხი ამიერკავკასიაში“ მეორე ტომი, რომელიც შეეხება საგლეხო რეფორმას სამეგრელოში, სვანეთში და სოხუმის ოლქში.

---

დ. ხონში არსებობს ვაჟთა ექვსკლასიანი სრულ უფლებიანი პროგიმნაზია. ამ პროგიმნაზიაში ყველა კლასებში არის თავისუფალი ადგილები. მშობლებს, რომელთაც ვერ მოათავსეს თავიანთი შვილები, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ქალაქების საშუალო სასწავლებლებში, შეუძლიათ მიმართონ პირდაპირ პროგიმნაზიის დ რექტორს, რომელიც მიიღებს შესაფერ კლასებში ყმაწვილებს მათის ცოდნის მიხედვით, თუ წლოვანობა ხელს არ შეუშლის.

---

გაზეთების ცნობები იმის შესახებ ვითომც ადგილობრივ სობოროს ასაშენებლად შეგროვილ ფულიდან გაფლანგულია რამოდენიმე ათი ათასი მანეთი, შემოწირული ქველმოქმედთა და კერძო პირთაგან, ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. სინოდმა ამ საქმის გამოსაძიებლად გამოგზავნა ფოთში საამშენებლო კომიტეტის დირექტორი ა. ოსეცკი. 9 ოქტომბერს, რევიზიის დამთავრების შემდეგ, ა. ოსეცკიმ, პირნათლად საქმის წარმოებისათვის და საუცხოვო სობოროს აშენებისათვის, ნ. ნიკოლაძეს მადლობა გამოუცხადა და დიდი დახმარება აღუთქვა საამაყო ტაძრის დამთავრებაში.

საამშენებლო კომიტეტის დირექტორი ა. ოსეცკი დაინტერესდა ფოთის საქმეებით, ეპისკოპოზ ლეონიდთან ერთად დაათვალიერა ნავთ-სადგური თავისი მორთულობით და იმის ნახვითაც მეტად კმაყოფილი დარჩა.

---

რედაქციამ მიიღო: 1) „ნაკადული“ № 9 მოზრდილთათვის, „ნაკადული“ № 18 მცირეწლოვანთათვის და „ჯეჯილი № 9.

---

## სალამი გურიიდან.

### ილია წინამძღვრიშვილის და მისი სკოლის დღესასწაულის გამო.

ილია წინამძღვრიშვილის 30 წლის უანგარო შრომამ დიდი გავლენა იქონია ქართველ ერზე. მისმა ერთგულმა და ბეჯითმა მეცადინეობამ დიდი ნაყოფი გამოიღო... დიდძალი მოწაფე აწყდება ამ ჟამად მის სასწავლებელს... იქიდან გამოსული მოწაფეები დიდი სიყვარულით ეკიდებიან მეურნეობას. თითქმის ყველა სოფელს ილია წინამძღვრიშვილის სახელი აკერია პირზე. ყველა სოფლის კუთხეში მისი ქება-დიდება გაისმის... ყველა ღმერთს ევედრება, რომ ამრავლოს მისთანა უხვი ადამიანი და მით გაანათლებოს ეს ბედკრული ჩვენი ქვეყანა... დიაღ, საქები და სადიდებელია ის, ვინც საძირკველი ჩაუყარა სამეურნეო განათლებას ჩვენში, ვინც საშუალება მისცა გაჭირვებულ გლეხის შვილებს სწავლა მიეღოთ... სიცოცხლეში ძეგლის აგების ღირსია ის, რომელმაც საზოგადო საქმისთვის არ დაზოგა თავის თავი და სძლია ყოველივე დაბრკოლება.. არ შეუშინდა არავის და არაფერს და აუჩქარებლად მიზანს მიაღწია... ხალხთან ერთად ვუსურვებთ ამ შესანიშნავ ადამიანს კიდევ ბევრი წელიწადი ეცხოვროს, რომ სიბერის ჟამს დასტკბეს მრავალი თავისთანა მადლიან სოფლის მოღვაწეების ხილვით.

ს. შემოქმედი. ხ. შავგულიძე.

---

## პატარა შენიშვნა.

### ქართველ მწერალთა ქართული ენის მცოდნე დამცველთა საყურადღებოდ

ერთს საზოგადოებაში ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ენისა და მისი სიწმინდის შესახებ. ერთმა სტუმართაგანმა სთქვა: ქართულ ენას ბევრი ისეთი უცხო სიტყვები ერევა, რომელიც ჰბილწავს მის სიწმინდე-სიფაქიზესო.

სხვათა შორის ასეთი აზრიც გამოითქვა: ზოგი სიტყვები, რომელიც ქართულად ან არ იყო, ან ხმარებაში აღარ არის მაგ. „სამოვარი“ „სპიჩკა“ „კალოში“ და სხვა მარტივია და მისი გადმოთარგმნა გადმოქართულება აღარც კი ღირსო.

ბოლოს ჩამოვარდა ლაპარაკი ზოგიერთი ახალი სიტყვის გადმოქართულებაზე, მაგ; „Холодильный вагонъ“ როგორ უნდა ვსთქვათ ქართულადო.

პირდაპირ გადმოთარგმნა ამისი ადვილია, მაგრამ გრძელი, არა მარტივი გამოდის, მაგ. ,,გასაცივებელი'' ანუ ,,საცივებელი'' ვაგონი.

ჩემის აზრით ამ სიტყვებს, რომ დასაწყისი ,,გა'' და დაბოლოება ,,ბელი'' გამოვაკლოთ, დავსტოვოთ მარტო ,,საცივე''; ვსთქვათ ,,საცივე ვაგონი'' ამით ქართულის ძირითადი თვისებაც დაცული იქნება და სიტყვაც მარტივი გამოვა. ანუ, როგორც ზოგიერთებმა სთქვეს ,,საცივი'' ვაგონიო. ეს უკანასკნელი სიტყვა თუმცა მარტივია, მაგრამ ამ საგანს ის სიტყვები არ შეეფერება, რადგან ,,საცივი'' ჰქვიან შექამანდს, წყაროს.

,,საცივე''-კი შემოკლებული გასაცივებელი, „საცივებელი'' სიტყვაა და ამიტომაც მგონია, რომ ეს სიტყვა უფრო შესაფერია. თუ გვსურს სწორე გადმოვთარგმნოთ ახალი სიტყვა, საჭიროა ახლავე შემოვიღოთ ხსენებულ ცნების გამომხატველი ქართული სიტყვა ჩვენს ლიტერატურაში.

იასე რაჭველი.

---

დღევანდელ ჩვენს ნომერში დაბეჭდილია ორი წერილი, რომელშიაც სიტყვები ,,ხოლოდილნი ვაგონ'' სხვა და სხვა ნაირად არის თარგმნილი. ბ. იასე რაჭველი სთარგმნის ასე: ,,საცივე ვაგონი'' ბ. სამსონ დათეშიძე კი: ,,საყინულე ვაგონი'', ,,გამყინავი'', ,,გამცივი'', ,,გამცივებელი''. უეჭველად საჭიროა, ერთს სიტყვაზე შევჩერდეთ. ურიგო არ იქნება, ჩვენმა ქართულის მცოდნე პირებმა ერთი რომელიმე სიტყვა დაგვიკანონონ. ჩვენის აზრით უმჯობესია ვიხმაროთ სიტყვა ,,გამციებელი'', რადგანაც აციებენ გაციებული ჰაერის საშუალებით და არა ყინულით. დარწმუნებული ვართ, რომ ქართულის მცოდნენი არ დაიზარებენ ამ საკითხის გამორკვევას.

რედ.

---

## ნუ დავივიწყებთ, დავეხმაროთ!

საზოგადო მოღვაწეობა ადვილი საქმე არ არის! ვინ იცის რამდენი საზოგადო მოღვაწე უკიდურეს გაჭირვებას განიცდის?! მაგრამ ყველაზე მეტი მწარე ხვედრი კი მსახიობს ხვდება. როცა მსახიობი სცენისათვის გამოსადეგია, მაშინ ყველანი დიდის ამბით ეგებებიან, და როდესაც იგი მოხუცდება ან სცენისათვის შეუძლო შეიქნება, მაშინ მას ივიწყებენ. .

და აი სწორედ ასეთი ბედი ეწია ჩვენს მსახიობ ქალს დესპინე ივანიძისას. ვის არ ახსოვს მისი თამაში? ვინ არ დამტკბარა მისი თამაშით ამ 25 წლის განმავლობაში? ის სცენას ჩამოშორდა. დღეს ეს მსახიობი—ქალი უკიდურეს გაჭირებას განიცდის, არა აქვს არავითარი სალხარი, რომ თავი ირჩინოს. იძულებულია მიჰმართოს ისევ ძველ მეგობრებს და საზოგადოებას მოწყალეობისათვის.

ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, იმ ადამიანს, რომელმაც მთელი მისი ძალ-ღონე ქართულ სცენას შესწირა, ნუ დავივიწყებთ იმას, ვინც ამ 25 წლის განმავლობაში გატაცებით ემსახურებოდა ხელოვნებას.

გავიხსენოთ ეს ადამიანი, რომელმაც სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქართულ თეატრის სარძიკვლის ჩაყრაში. ყველა ქართველნი ვალდებული ვართ დავეხმაროთ ასეთ ადამიანს ნივთიერად.

პ. ზეგნელი.

---

P. S. იმედია სხვა ქართული გაზეთებიც გადაბეჭდენ ამ წერილს.

პ. ზ.

---

### ბუნებრივი საყინულე მთაში.

ახლანდელი „გამყინავი“ ანუ „გამცივებელი“, ან, თუ შეიძლება ითქვას „გამცივი“ ვაგონების შემოღებამ ერთი რამ გამახსენა ჩემი წარსული ცხოვრებიდან. ამ გამყინავი ვაგონების საშუალებით ყოველგვარი სანოვაგე, ხილეულობა შეიძლება უვნებლად შეინახოთ დიდხანს, არ დალპება და არ გაფუჭდება!

დიდი ხანია მას აქეთ, ერთჯერ მდ. რიონის სათავის სანახავათ გავემგზავრეთ რამდენიმე ცხენოსანი უწერიდან. ეს იყო ზაფხულის პაპანაქება სიცხის დროს.

სანამ ფასის-მთას მივაღწევდით, სადაც რიონს აქვს სათავე, დიდად დავიქანცეთ ყველანი; მეტად უჭირდათ ჩვენს ცხენებსაც. იყო შუა დღე, როდესაც მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც სამივ მხრით ცამდის ამართული იყო კავკასიონის მწვერვალები. ჩვენ წინ მაღლიდან ვეებერთელა პიტალო კლდიდან, რომელსაც ზევით მისივე ტოლი და მისივე ფერის (რუხი) ყინული თავს დასწოლოდა, გადმოჰქუხდა მძლავრი მდინარის ჩანჩქერი. აი, ეს ჩანჩქერი იყო სათავეც.

ეს ვებერთელა ჩანჩქერი ეცემა ძირს თოვლისა და ყინულის სკორეებს, ხვრეტს ყოველივე ამას და იკარგება. ამ ალაგიდან, სადაც ეს სკორე თავდება, ჩანჩქერის წყალი, მდინარედ ქცეული, გამოჰქუხს ყინულიდან. აქ რიონს ისეთი დიდი გვირაბი გაუკეთებია ყინულში, რომ თამამად შეიძლება შიგ მდინარის ნაპირს აჰყვეთ დიდ მანძილზე. ჩვენც შიგ შევედით, მაგრამ აქ ისეთი სიცივე ვიგრძენით, რომ საზაფხულო ტანისამოსით ვერ შევსძელით შორს წასვლა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

ამ გვირაბში, მდინარეს ნაპირზე წმინდა ქვებზე დალაგებული იყო საქონლის ხორცი, ასო-ასოდ აღებული. როდესაც იქიდან გამოვედით და ვიკითხეთ თუ რა ამბავია ამდენი ხორცი აქ, რომ შევილაგებიათ-თქო, აქ მყოფმა მეჯოგეებმა გვიამბეს, რომ ერთი საუკეთესო ძროხა კლდიდან გადმოგვივარდა ბალახობის დროს და დაგვემტვრაო. ის ძროხა დავკალით და ეგ ხორცი იმისი არისო. აქ ეს ხორცი დიდხანს ინახება და არ ფუჭდებაო. ჩვენც ვიზოგავთ და ისე ვხარშავთო' თანაც შემოგვთავაზეს, რამდენიც გინებოსთ, ინებეთ სამგზავროთო. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ, მაგრამ ერთმა ჩვენმა თანამოგზაურმა მადლობა არ აკმარა და საუკეთესო სათჳლოს ხურჯინში აკვრევია თავი,-ეს ჩვენ გზაში დაგვპირდებაო.

ყოველივე ეს მომაგონა ახლანდელმა საყინულე ვაგონებმა. თურმე ჩვენ მთიულებს დიდი ხანია მიუგნიათ ბუნებითი საყინულეს გამოყენებისათვის და ხმარობენ კიდეც საჭიროების დროს.

ს. დათეშიძე.

---

## ქართული თეატრი.

### „უნიადაგონი'' ვ. შალიკაშვილისა.

დიდის ინტერესით მოველოდით პიესის დადგმას. ინტერესს აძლიერებდა პრესა, რომელიც წინასწარ აქებდა და პიესის მნიშვნელობაზედ ლაპარაკობდა. გვარწმუნებდნენ ავტორი პირუთვნელი კრიტიკით ეხება ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით კი ინტელიგენციასო. სათაურიც ხელს უწყობდა ასეთ აზრს (რადგან ხშირათ უკიჟინებიან ჩვენ ინტელიგენციისათვის უნიადაგობა) და ჩვენც დარწმუნებული ვიყავით მსმენელის თვალწინ გადაიშლებოდა ნაცნობი სურათები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. პიესა ასე დაიწყო. პირველ მოქმედებაში ავტორმა ფრიად რამდენიმე საინტერესოსცენა დაგვანახვა, მაგრამ...ის იყო და ის—მეორე მოქმედებიდან დაიწყო თვით პიესა სუსტი და მელოდრამატიული ხასიათისა. არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება, არავითარი ინტელიგენცია იქ არ ყოფილა. ავტორმა აგრეთვე ვერ გაგვაგებინა, რათ დაარქვა თავის პიესას „უნიადაგონი“ და რა დავის ნიადაგის უქონლობაზე ლაპარაკობდა.

პიესის შინაარსი ასეთია. ვინმე ალექსანდრე „საზოგადო მოღვაწე“ მრავალგვარ უსინიდისო ხერხით საპატიო ადგილს იჭერს საზოგადოებაში. უკანასკნელის სამსახურის მაგივრად კი ის ამ საპატიო ადგილს პირად სარგებლობისათვის იყენებს, სცარცვავს ხალხს ქრთამებით და ფუფუნებაშია. ჩვენ გვეგონა ავტორი არჩეულ გზას დაადგებოდა, მაგრამ ამ ფრიად საინტერესო თემაში შეურია სანტიმენტალურ ელემენტებით სავსე რომანი და პიესამ ყოველივე ინტერესი დაჰკარგა. მსმენელის თვალწინ გადაიშალა უხერხულად შეკოწიწებული დრამა, გაუგებარ ფილოსოფიით და ტანჯვა - წვალებით. მაგრამ გადავიდეთ ისევ შინაარსზე. ალექსანდრეს ჰყავს ლამაზი ცოლი დარო, რომლის გული თვრამეტი წელიწადია სამხედრო ექიმ გრიშას ეკუთვნის. მათ ერთმანეთი ახალგაზდობაშივე უყვარდათ, მაგრამ ჯვრისწერის ნება დედ-მამამ არ მისცა ერთმანეთს დაჰშორდნენ. გრიშა წავიდა რუსეთში და მას აქეთ აღარ ჩამოსულა. დარო კი ალექსანდრეს მიათხოვეს და ასე ამნაირათ მოეწყო მათი ცხოვრება. გაიარა მას აქეთ თვრამეტმა წელიწადმა. დაროს უკვე სტუდენტი ვაჟი ჰყავს და გასათხოვარი ქალიც-რუსია. გრიშა ვერ შეჰრიგებია ცივ ჩრდილოეთს და სამშობლოში ჩამოდის. გრიშას ჩამოსვლისთანავე კვლავ გაღვივდა სიყვარული და დარომ ალექსანდრეს თავისდანებება და გრიშასთან გაყოლა გადასწყვიტა. ეს ასეც მოხდა. ცოლის დაკარგვის წინ ალექსანდრემ შვილიც დაჰკარგა ზურამ გაიგო მამის უღირსი ყოფა ცხოვრება და სახლიდან გაიქცა. ამ რიგათ ალექსანდრემ ცოლი და საყვარელი ვაჟი დაჰკარგა. ავტორმა ეს არ აკმარა ალექსანდრეს: გრიშა ჩამოსვლისთანავე შეუყვარდა რუსიას, მაგრამ რა გაიგო დედისა და გრიშას კავშირი, გრძნობა გულში ჩაიკლა. ამას დედის წასვლაც მიემატა, ნაზი რუსია დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. თუმცა, არ ვიცით, შეიძლება თავიც მოიკლა, რადგან თავის ოთახში მიიცვალა. ერთი სიტყვით ალექსანდრეს ოჯახი დაიქცა. ოჯახის მაგივრათ კი ხელში წერილი შერჩა, რომელშიაც ატყობინებდენ შენი მოქმედების რევიზია დაინიშნაო და დღეს თუ ხვალ მთავარი ბრალმდებელი გესტუმრებაო.

ერთი სიტყვით გამოვიდა ნამდვილი მელოდრამა. სიკვდილი, ბრალმდებელი, ტანჯული სიყვარული, არი იყო მხოლოდ ყველა ამათ შორის კავშირი, არ სჩანდა მხატვრული ხელი ავტორისა და ამიტომ იყო, რომ ავტორმა ვერაფერში ვერ დაგვარწმუნა; ვისმენდით ყველა ამას, თვალით ვუყურებდით და გულს კი არ ხვდებოდა რა. დრამის დასაწყისი პირველ მოქმედებაშივე ვიგრძენით, მაგრამ გვეგონა ეს მეორე ხარისხოვანი იქნება-თქო. ამ აზრზე რედაქტორის გამოსვლამაც დაგვარწმუნა გვეგონა იწყებოდა დრამა საზოგადოების ჯგუფთა შორის, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა. რედაქტორი საშინლად დაემუქრა ალექსანდრეს ომს გამოგიცხადებო, მაგრამ წავიდა და ომიც აღარ გვინახავს. ჩვენ კი როგორც ვსთქვით სწორედ საზოგადოების ჯგუფთა კოლიზიას მოველოდით.

დრამა მაინც რომ ხეირიანად დაწერილი ყოფილიყო კიდევ არაფერი, მაგრამ ეს მხარეც მოიკოჭლებდა. სიყალბე დრამაში თავიდანვე იჩენს თავს და რასაკვირველია უკვე დრამის მსვლელობას მსმენელი სკეპტიკურათ უყურებს. რა საჭირო იყო დაროსა და გრიშას თვრამეტი წლის ლოდინი. თუ მათ ერთმანეთი უყვარდათ შეერთება ადრე უნდა მომხდარიყო. პიესიდან კი სჩანს, გრიშას რომ სამშობლო არ მონატრებოდა შეიძლება სულაც არ ჩამოსულიყო და მათი შეერთებაც გადაიდებოდა. ვსთქვათ ახალგაზდობაში ეს ვერ მოახერხეს, მაგრამ განვლო ხანმა ორივენი მომწიფდნენ და ცხოვრებასთან ბრძოლა შეეძლოთ, დავერწმუნოთ ავტორს რომ ეს ადრე ვერ მოხერხდა. მაგრამ ამ რწმენას აქარწყლებს ავტორის ტენდენცია—უსათუოთ დაარღვიოს უკვე დამკვიდრებული ოჯახის დარღვევის სურვილი. სწორედ ამ ტენდენციის გულისათვის თვრამეტი წლით გადასდო მან მათი შეერთება. მაგრამ ამ მდგომარეობას ვერ მოუარა. დარომ წასვლის წინ არავითარი დრამა არ განიცადა. ადვილათ დასტოვა მან ქმარი, ეს დასაჯერებელია, რადგანაც არ უყვარდა, მაგრამ ნუ თუ ისეთივე სიადვილით შესძლო მან საყვარელს შვილების დატოვება? მას ერთი წამიც არ უფიქრია შვილებზე.

ერთი სიტყვით ოჯახს დაროს ნაბიჯის გადადგმაში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია.

ასევე ყალბი იყო ზურას დემონსტრაციაც. ზურას გარდა ყველამ იცოდა მამა მისის ყოფა-ცხოვრება. ნუ თუ ზურამ ეს ვერ გაიგო? ის ხომ ბავშვი აღარ იყო.

მსმენელისათვის გაუგებარი დარჩა აგრეთვე პავლეს როლი ალექსანდრეს ბნელ საქმეებში, ეს თვით ალექსანდრემაც არ იცის, თუმცა წერილში კი ალექსანდრეს გარდა პავლესაც აფრთხილებენ.

ერთი სიტყვით პიესა არ არის მოფიქრებული. ადგილის უქონლობის გამო ჩვენ ჯერჯერობით აქ დავსვამთ წერტილს. ვიტყვით, მხოლოდ, რომ ბოლო დროის ახალ პიესებში „უნიადაგონი“ ყველაზე სუსტი გამოდგა და ოდნავაც არა ჰგავს თავის წინაპარს „გადაჭრილ მუხა“-ს.

მსახიობებმა ამ საღამოს ავტორს სამსახური გაუწიეს, მწყობრმა საერთო თამაშმა პიესის ნაკლი დაავიწყა საზოგადოებას და რამდენიმე წუთით გაიტაცა.

ბ.ბ. გუნიამ, მესხმა და იმნაძემ მხატვრული თამაშით სიამოვნება გამოიწვიეს მსმენელებში.

გრიშას როლი სრულიად უფერული გამოდგა' ბ. ზარდალიშვილმაც მას ვერაფერი მიუმატა. ბ. ბარველმა თავისი სიტყვა სავსებით სთქვა თუ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ამაში დანაშაული ავტორს მიუძღვის. ზურას როლი, რომელსაც მსახიობი ასრულებდა მეტად დონკიხოტურია. ქ. დავითაშვილისამ ავტორის ნააზრევი სავსებით გადმოგვცა. ქ. მდივანისამ ფაქიზად შეასრულა თავისი როლი. როლის გადმოცემაში მსახიობმა საკმაო სინაზე გამოიჩინა,

ბ. წუწუნავამ გიტოს როლში პირდაპირ მხატვრული სურათი წარმოგვიდგინა.

გ. ახრახაძე.

---

## საქართველოს ამბები.

**სამეგრელო** „საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, მაგრამ ამ ჟამად ქვა კი არა, სწორედ მეხი მოეწია. წლევანდელმა წელიწადმა თავზარი დასცა და ისედაც ზაფხულის მუშაობისაგან მოქანცული და წელში მოხრილი ჩვენი გლეხი უარეს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

უნდა შევნიშნო, რომ ჩვენებური გლეხკაცისთვის პირველი სახსარი ცხოვრებისა სიმინდია. მას გლეხ-კაცი ისე ევლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თავის შვილს. წელს კი უმეტესი ნაწილისაგან ხშირად გაიგონებთ: „რით გავსცე აწი პასუხი ხელმწიფეს ან ბატონს, ღვდელს თუ გზირს, ნაცვალს და სხვასო“.

რა ქნას ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გლეხმა?! სიმინდს არა თუ ვერ გაყიდის,— ნახევარი წლამდინაც ვერ ეყოფა საკვებად. ვერაფერი მოუფიქრებია, რომ შეიმსუბუქოს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა...

ამ ფრიად სამწუხარო მოვლენის შემდეგ ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენაც უნდა აღვნიშნო, სამეგრელოში; იყო დრო, როდესაც სამეგრელოში, საღამო ჟამს კაცი სოფლიდან სოფლად ვერ ჰბედავდა წასვლას, რაც უნდა გაჭირვება ჰქონოდა! უხდებოდნენ შარა გზაზე ავაზაკები გამვლელ-გამომვლელს და ტყავს აძრობდნენ. მაგრამ ამ ბოლო დროს გვარიანად შეუკვეცეს ფრთები ქურდებს.

* * *

როგორც წინად შევნიშნე, ზუგდიდის მაზრა კრიტიკულ მდგომარეობას განიცდიდა რიგიანი გზის უქონლობისაგამო დღემდინ, მაგრამ დღეს ახალი მაზრის უფროსის ბ. ჩერნოვის მეთაურობით ბევრგან კარგი გზები გაიყვანეს.

უეჭველია, თუ ასე გააგრძელა ბ. ჩერნოვმა თავისი სამსახური, დაუვიწყარი დარჩება მისი სახელი სამეგრელოში!

**ვეჩე.**

---

**დიდი-ჯიხაიში.** როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენება, ჩვენ სოფელს ერთი თვალ-საჩინო ალაგი უჭირავს ქვემო იმერეთში. აქ არსებობს მრავალი სხვადასხვა კულტურული დაწესებულება, რომელთაც განაგებენ სოფლისავე არჩეული პირები. სამწუხაროთ უმეტესობა მათგანი ვერ უძღვება საქმეს, როგორც საჭიროა და ხშირად ბოროტად ხმარობენ იმ უფლებას, რომელიც მათ ხალხმა დააკისრა; მაგალითისათვის ავიღოთ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა: როგორც წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ბ. ჯაფარიძემ გამოარკვია, დიდი არევ-დარევა ყოფილა მასში გამეფებული; უმთავრესი ბრალი ედება ყოფილ გამგეობის თავმჯდომარეს იოსებ ლეჟავას და გამგეობის წევრს დიმიტრი ლორთქიფანიძეს. ამხანაგობის მიზანი იყო დახმარება გაეწია სოფლის ღარიბებს მცხოვრებთათვის, უდიდესი ნდობა არ აღემატებოდა 250 მანეთს, მაგრამ წარმოიდგინეთ ზემოხსენებულ პირებს და ზოგიერთ მათ ნაცნობ-მეგობრებს მოხერხებით თურმე 600—700 მანეთამდინ გაჰქონდათ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა გაჭირებულ ამხანაგს ხარის საყიდელ ფულზედაც უარს ეუბნებოდნენ; აღმოჩნდა აგრეთვე რამოდენიმე ყალბი თამასუქებიც, დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს.

კარგათ არც სკოლისათვის ახალი შენობის აგების საქმე წავიდა. იმისთანა პირებმა იკისრეს მოიჯარადრეებთან პირობის შეკვრა, რომელთაც არავითარი წარმოდგენა პირობის დაწერაზე არ ჰქონდათ. მათი წყალობით შარშან მოსათავებელი შენობა, წრეულს ძლივს მოთავდა და სოფელმაც ექვსას მანეთამდინ ზედ-მეტი გადაიხადა.

საზოგადოების აფთიაქის საქმეც ვერ არის სასურველათ დაყენებული. აუტანელ პირობების გამო ფარმაცევტი შიგ სამ-ოთხ თვეზე მეტს ვერა სძლებს. ამ წელიწადში უკვე სამი ფარმაცევტი გამოიცვალა. საჭიროა დაუყონებლივ გამოირკვეს მიზეზები და აფთიაქში მოსამსახურეებისათვის ახალი პირობები შემუშავდეს, თორემ ზოგიერთი პირების ჯიუტობით საქმე ფერხდება და საზოგადო დაწესებულება თავის პირდაპირ დანიშნულებას ჰკარგავს. დრო კია ბ. ექიმმა ლოსაბერიძემაც მიაქციოს ამას ყურადღება.

ამ წლის ბოლოს თავდება სამი წელიწადი, რაც ჩვენში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება არსებობს. ამდენხანს ინახავდა საზოგადოება, მომავალ წლიდან კი, როგორც მოწერილობიდან სჩანს, მთავრობა ყოველივე ხარჯს ღებულობს თავის თავზე. შენობის დაქირავება მიანდვეს სამტრედიის ფოსტის კონტორის უფროსს ბ. გვარამაძეს, რომელმაც, არ ვიცით რა მოსაზრებით, ფოსტისათვის ყოვლად უვარგისი შენობა დაიქირავა. ხალხში არა სასურველი ხმები ტრიალებდა ამის შესახებ. ამ ხმებმა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ყურამდინაც მიაღწია და ამას წინად საგანგებოთ დანიშნული მოხელე ჩამოვიდა, დაათვალიერა ახალი დაქირავებული შენობა და სცნო უვარგისათ. ფოსტა ისევ ძველ შენობაში დასტოვა რამოდენიმე ოთახის მიმატებით. ამ ზაფხულში ჩვენში ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძის თაოსნობით სამი წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ხალხი ძლიერ ხალისით ეტანება ყოველსავე განმანათლებელ გასართობს. დიდათ გვიშლის ხელს სათეატრო შენობის უქონლობა. საჭიროა ინტელიგენტებმა ითაონ სახალხო სახლის აშენება. დღეს ხალხიც მომზადებულია და ექვს გარეშე, შეძლებისდაგვარად დაგვეხმარება. დიდი მადლობის ღირსია, როგორც ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძისა, აგრეთვე ყველა ის პირები რომელნიც თანაგრძნობით ეკიდებიან და არავითარ შრომას არ ჰზოგავენ ამგვარ კულტურულ საქმისათვის. დასასრულ აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ინტელიგენტი ნარდის, ქაღალდის თამაშს და ღვინოს ძლიერ ეტანება, რითაც ცუდ მაგალითს აძლევენ მოზარდ თაობას. ღვინის სმას ხშირათ აყალ-მაყალიც მოსდევს. ერთი ასეთ დროს-გამტარებელთაგანი ამას წინათ ისე მძიმეთ გაილახა, რომ რამოდენიმე კვირას ლოგინათ იყო ჩავარდნილი.

**დონ-ნ.რი.**

---

**გურიის რამე-რუმე.** ზაფხულის თვეები საუკეთესო დრო უნდა ჩაითვალოს გურიის სოფლისათვის. ეს არის ხანა სოფლების გამოცოცხლებისა, ხანა კეთილ მისწრაფებათა დაბადებისა და სხვა დასხვა. მაშინ სოფელს უბრუნდება სხვა და სხვა ქალაქებში წასული სწავლის მისაღებად მოსწავლე ახალგაზრდობა, რაც ახარებს და იმედს უღვიძებს აქაურ მკვიდრს, განსაკუთრებით დაბეჩავებულ გლეხ კაცობას.

აქა-იქ ჰმართვენ წარმოდგენებს, კითხულობენ ლექციებს და სხვა. დადგება სამოსწავლო წლის თვე თუ არა, გურიას კვლავ სევდა-კაეშანი მოიცავს... კვლავ უიმედობა და სამარისებური სიჩუმე მყარდება ირგვლივ... „არსით ხმა, არსით ძახილი!“ პოეტისა არ იყოს... ისე მიდუნდება ცხოვრება, თითქო რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენა მოხდა. ეს ემჩნევა არა მარტო გურიის სოფლებს, არამედ მის დედა-ქალაქ ოზურგეთსაც.. ისიც ასე უნუგეშოდ გამოიყურება ხოლმე ამ დროს. „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი მერე გამონახეო“ რომ იტყვიან სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. ჯერ გურიის დედა-ქალაქ ოზურგეთს უნდა გადავხედოთ და მერე მის სოფლებს... სწორედ სავალალოა, რომ დღემდე თეატრის აგების საქმე ვერ მოუწყვიათ. როგორც წინად ვწერდი, თეატრის აგების საქმე მინდობილი აქვს ერთ ხმოსანს, რომელსაც დღემდე უნდა მოეგვარებია საქმე, მაგრამ ამის შესახებ სრულებით არა ისმის რა... ამ ხმოსანზე ზედ-გამოჭრით ითქმის.... „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა: შუა უზის დიდი ზღვარი“! ეს დალოცვილი სიტყვით ყველაფერს აკეთებს, საქმით კი... სწორედ ერთს შეგირდს გვაგონებს, რომელიც გაიძახოდა: „დღეს ვისეირნებ, ხვალ კი ვიმეცადინებო“. ამ დღეს-ხვალიობას აღარა აქვს დასასრული... საჭიროა გამონახონ უფრო მტკიცე ხასიათის კაცი, რომელიც შეიძლებს დანაპირების შესრულებას.

—ამ დღეებში ოზურგეთის ჩაის ქარხნის გამგეებმა დაარიგეს ფურცლები, სადაც ნათქვამია, რომ ქარხნის აშენება უკვე დაიწყეს და იგი დაიწყებს მოქმედებას 1914 წლის გაზაფხულიდან. მაშინ იყიდიან ჩაის მეპატრონეებისაგან მწვანე ნედლ ფურცელს, გირვანქას 13 კაპეიკად. ყოველივე პირობების შეტყობა და ჩაის თესლის მიღება შეუძლიათ ოზურგეთში აგრონომ ერმილე ნაკაშიძისაგან.

—ქალაქის აფთიაქი და კარგა-ხანი დახურული ქსენონი—ამბულატორია ამ დღეებში დაიწყებენ მოქმედებას. თუ როგორი „სამსახური“ გასწიეს ზოგიერთმა „მამულიშვილებმა“ აფთიაქის გახსნის საქმეში, ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

—გურიის ზოგიერთ სოფლებში მთავრობას მამასახლისების მაგიერ ხალხიდან აირჩიეს მამასახლისები.

— ის რწმუნებულები, რომელნიც დაპატიმრეს ღენერალ შჩიგროვსკის რევიზიის გამო და ამტყუნებდენ, რად უამბეთ ყველაფერიო, 14 სექტემბერს გაანთავისუფლეს ადგილობრივ სატუსაღოდან, გარდა ორისა, სახელდობრ ვ. და ქ. კალანდარიშვილებისა, რომელთაც სწამებენ ფირალებს ინახავდითო.

—ქალების პროგიმნაზიაში ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყება მეცადინეობა; სწავლის ფული, როგორც გადმოგვცეს, 30 მანეთია.

— ოქტომბრის პირველ რიცხვებში აქ ჩამოვიდა ქუთაისის სამოსამართლო სესია, რომელიც გაარჩევს სხვა და სხვა საქმეს სისხლის სამართალში მიცემულ პირებისას.

—ტეხა-კრეფას გურიაში უკვე შეუდგენ, საუბედუროდ მოსავალი წელს ძლიერ ნაკლებია, განსაკუთრებით ზემო-გურიაში. აქ თითქმის არც საკრეფია რამე და არც სატეხი. ხალხი სასოწარკვეთილებაშია... სიმშილი აუცილებელია!

**ხ. შავგრემანი**

## „ვეტცელის“ სასტუმროს პირობები.

იშვიათად შეხვდებით ისეთ მოსამსახურეს, რომელიც არ იყოს ნამსახური სასტუმრო „ვეტცელში“ ნ. სიხარულიძესთან. ქ. თბილისში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, რომელშიაც ისე ილახებოდეს მოსამსახურის პიროვნება, როგორც აღნიშნულ სასტუმროში. აქაურ პირობებზე ლაპარაკი ერთგვარი უბედურების მოგონებაა მოსამსახურეს მხრით. მასთან მოსამსახურემ უნდა იმუშაოს 18 საათი; დადგომისას წინდად უნდა შეიტანოს არანაკლებ 50 მანეთისა; ჰქონდეს წყვილი უქუსლო ფეხსაცმელი; ორი წყვილი ტანისამოსი და სხ. საკმარისია ოთახში დაინახოს ცოტა მტვერი, ან სტუმართან შეგაგვიანდეს, რომ ნ. სიხარულიძესაგან მიიღო სასჯელი ჯარიმის სახით. ერთად ორი-ს მი მოსამსახურე, რომ დაინახოს, თუნდ ჭამის დროსაც ან გაზეთის კითხვაზე წაუსწროს, უეჭველად დააჯარიმებს და ადგილიდანაც დაითხოვს. იყო ასეთი მაგალითიც: ნ. სიხარულიძემ თავის ნებით გააწერა მოსამსახურეებს სადღაც სოფელში ხიდის ასაგებად ფულები. ერთმა მოსამსახურეთაგანმა გამოელაპარაკა, იმან კი მაშინვე ახსნის ნაცვლად ქუჩაში გამოუძახა. მოსამსახურეებისგან შეგროვებული ფული კი თავის სახელობით შესწირა. თუ სტუმარს ფული გაჰქვება, ის თავს უქონებს, მერე კი ინადგებს იმ მოსამსახურისაგან, რომელიც ემსახურებოდა. ეს ხუთი წელიწადია რაც მოსამსახურეებს ცუდი სიტყვებით იხსენიებს. ეს ის სიხარულიძეა, რომელმაც წინა წლებში მოსამსახურეების მიერ მოპოვებულ უფლებების წინააღმდეგ პირველად გაილაშქრა. სულ ცოტა ხანია, რაც მოსამსახურეობას თავი დაანება და დღეს კი მათი სასტიკი მტერი შეიქნა.

მისი მოსამსახურე **გაბრიელ სამსონის-ძე კიწურაშვილი.**

## „ახალი კლუბის“ და დრამატიულ საზოგადოების საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ნება მოგვცეთ გამოვაცხადოთ შემდეგი: ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, ქართულს თეატრში „ლაბირინტ“-ზე წავედით რამდენიმე ამხანაგი და რადგანაც შეძლება ნებას არ გვაძლევდა პარტერის ბილეთი აგვეღო, ავედით ქანდარაზე (გალერეაში). დაიწყო პირველი მოქმედება. კარგი წეს-რიგი სუფევდა და ყველანი გულ-დასმით ვუგდებდით ყურს ახალ პიესას. მაგრამ ასეთმა წეს-რიგმა დიდ ხანს არ გასტანა. უცბად ასტყდა რაღაცა რახა-რუხი და მთელ პირველ და მესამე მოქმედების დროს არ შეწყდარა. შემდეგ ეს უცნაური მოვლენა გამოირკვა. „ახალ კლუბი“-ს გამგეობას დაედგა ბილიარდის მაგიდა ქანდარის მარჯვენა მხარეს ბუფეტის ადგილას.

ნუ თუ მთელს ამოდენა უზარ-მაზარ შენობაში არ მოიპოვება ისეთი ადგილი, რომ ბილიარდი იქ გადაიტანონ და ხელი არ შეუშალონ ქანდარაზე მოსიარულე მუშა-ხალხს პიესის ყურისგდებას. ამ საღამოს მეტი წილი მუშა ხალხი იყო, რომელიც ძლივს შოულობს ბილეთის ფულს! ის მეტად შეწუხებული დაბრუნდა თეატრიდან, რომ პიესის შინაარსი კარგად ვერ გაიგო, იმედი გვაქვს ეს შემდეგში არ განმეორდება. ან იქნება ჰფიქრობენ, ქანდარაზე მუშა-ხალხი დაიარება და ყურადღების მიქცევა საჭირო არ არისო.

ამხანაგების თხოვნით: **პ. ს—ძე-**

## წერილი რედ. მიმართ.

გთხოვთ ორიოდე სიტყვას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ამხანაგების დავალებით, სალამს მივუძღვნი და ღრმა მადლობას მოვახსენებ ბ-ნ ნიკოლოზ ბრევენს, რომელმაც „დორპატის სათვისტომოს“ წრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა ადგილობრივ და შემოსწირა ფულად 10 მან.

„დორპატის ქართული სათვისტომო“ სიამოვნებით აღნიშნავს ამ უცხო ტომის (გერმანელის) ადამიანის ფრიად სიმპატიურ განწყობილებას ქართველ საზოგადოებისადმი და გამოსთქვამს იმედს რომ მის იდეას „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“ დაარსების შესახებ ჩვენში მოწინავე ქართველობა უყურადღებოდ არ დასტოვებს და მკვიდრ ნიადაგს მოუპოვებს თავისს წრეში.

ვუსურვებთ ბ-ნ ნიკოლოზს მეტს სიმხნეს და სიხალისეს ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად.

პატივისცემით: **აკაკი პაპავა.**

---

რედაქტორ-გამომცემელი
**გრიგოლ დიასამიძე**

## წიგნის მაღაზია „ცოდნა“
სოსიკო მერკვილაძისა.

დამზადებულია სკოლებში სახმარებელი დიდძალი სახელმძღვანელო წიგნები ქართულს, რუსულს და ევროპიულს ენაზედ.

აქვეა: ჩვენი მწერლების თხზულებანი და ყოველგვარი ქართული წიგნები. აგრეთვე: ჩვენ მწერალთა, გამოჩენილ კაცთა და მსახიობთა დიდი სურათები თითო ათი შაური: ნარდათ მყიდველებს ფას დაკლებით.

მისამართი: თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს.

---

დაარსებულია 1869 წ.

სავაჭრო სახლი
## ე. ა. ცატუროვისა და კომპ.
თბილისი, სასახლის ქ.

დიდი ძალი არჩევანი
უბრალო და სტილური მხატრულ ელექტრონულ **არმატურისა.**

წარსულ სეზონების არმატურა იყიდება 40—50 პროც დათმობით

ტელეფონი № 238.

---

## „თემის“ რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული
## „მზის სიცილი“
ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.

---

ხელოვნურად შეზავებული  სამკურნალო და ხილეულობის წყალი

## მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ.-ქ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე ა. ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$).<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ფირბდოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირბდოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდოევი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>ტრემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

---

სავაჭრო სკოლა (უფლებიანი)
და საბუღალტრო კურსები
## ივანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვისა
მისაღები დრო: დილით 8 საათიდან—2 საათამდე. 1 თუმანიშვილის ქუჩა საკ. ს. № 13. საღამოს 5 საათიდან—8 საათამდე კურსებზე მიხეილის პრ. ს. № 53. საჭიროა კომერციულ ანგარიშის მასწავლებელი.

---

## სტამბა „სორაპანი“
ღებულობს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე **ასრულებს საქმეს სუფთად, სწრაფად და გასაოცრად იაფად.**

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის შენობაში.

## განცხადება.

ვეფხის-ტყაოსნის დაბეჭდვა.

მიიღება ხელის მოწერა „ვეფხის ტყაოსანზე“ წიგნი იქნება მე-21-თე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი ტექსტი შეჯერებული იქნება საუკეთესო ხელ-ნაწერებზე. წიგნი იბეჭდება ორ ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოთ და ეღირება 1 მან. და 2) ძვირფას ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთი.

ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაჰყიდის, იმას ერთი წიგნი კარგს ქაღალდზე ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს და 10-ზე მეტს გაასაღებს, მიეცემა მანეთზე 15 კაპ.

ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდი, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისთვის დას რიგებლად 1 იანვრისთვის.

ხელის მოწერის შეწყვეტის შემდეგ თუ გადარჩა წიგნები, მ ნეთიანს მიემატება ათი შაური და ორი მანეთიანს ერთი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში, ქუთაისში თ. მთავრიშვილის და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიებში და ის. კვიცარიძის კონტორა „იმერეთ“-ში და აგრეთვე ბათუმს, ბაქოს, ფოთს წიგნის მაღაზიებში. **ფული და კორესპონდენციები** ეგზავნება ამხანაგობის „მწიგნობრობის ქვეყანას“ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Кабгеровская д. № 29 Ю. И. Абуладзе.